ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N44

2023 წლის 31 ივლისი

ქ. ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. ზოიძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116-ის მიმდებარედ არსებული 538,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, ს/კ 20.42.05.182) 6,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით, ფ/პ შოთა გოგიტიძეს;

2.ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116-ის მიმდებარედ არსებული 538,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, ს|კ 20.42.05.182) 6,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 360 (სამასსამოცი) ლარის ოდენობით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი